



პრესრელიზი

“ტიფლის სიტი“-ის ახალი გენერალური დირექტორი ჰყავს

შპს „ტიფლის სიტი“-ს გენერალური დირექტორის თანამდებობაზე დაინიშნა ნინო აბსანძე. მას მმართველობით პოზიციაზე მუშაობის 11 წლიანი გამოცდილება აქვს. ხელმძღვანელობდა თანაინვესტირების ფონდის ერთ-ერთ უმსხვილეს პროექტს სოფლის მეურნეობის მიმართულებით. ბოლო წლებში გენერალური დირექტორის პოზიცია ეკავა „ფრესკო“-ს და სამშენებლო კომპანია „NGS Group“-ში, ასევე საქართველოს ბანკის (შვილობილი) უძრავი ქონების საბროკერო კომპანია „პრესტო“-ს დირექტორი იყო. 2000-2004 წლებში ნინო აბსანძე სწავლობდა ESM ბიზნეს სკოლის ბიზნესის ადმინისტრირების და მართვის ფაკულტეტზე.

კომპანიის „ტიფლის სიტი- ჯი აი ჯი“-ის ყოფილი გენერალური დირექტორი თეა ბასიაშვილი დაიკავებს აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობას.

21.03.16

„ტიფლის სიტი“ საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის (ჯი-აი-ჯი) შვილობილი კომპანიაა, რომელიც საქმიანობს უძრავი ქონების განვითარების ბიზნეს მიმართულებით საქართველოს მთელ ტერიტორიაზე. კომპანიის განვითარების პროექტები ეფუძნება საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. „ტიფლის სიტის“ ბიზნეს პორტფელი, საკმაოდ დივერსიფიცირებულია და აერთიანებს ისეთ მნიშვნელოვან მიმართულებებს, როგორც არის ბიზნეს ცენტრები, კომერციული ფართები, სასტუმროები, საცხოვრებელი პროექტები, სასაწყობო მეურნეობები, სამაცივრე საწყობები. „საქართველოს ინდუსტრიული ჯგუფის“ დამფუძნებელია დავით ბეჟუაშვილი.

